

ამაო ძახილი

ტოკავს ქარი, ნაზ-ნარნარი, და დაფნარი ტოკავს, ტოკავს...
და ზღვის ტალღა, ტალღა ჩქარი მძაფრი ღრენით სალ კლდეს
ლოკავს...

ჰორიზონტი ალისფერი, ჰორიზონტი ცის ფერადის
ზღვიდან ცამდის, ციდან ზღვამდის მზის აღმურში ჩადის... ჩადის!
ვდგევარ მთაზე, ვდგევარ მარტო, ვდგევარ ერთი, ვდგევარ ობლად...
შორეული არვინა სჩანს, არვინაა არც მახლობლად.

მხოლოდ ერთი იალქანი, ვით ღამის ფრთა გარხეული,
დაქანაობს ქარისაგან დაფლეთილი, დახეული.

ჩუ, ძახილიც ისმის ზღვიდან: "ვილუპები, ჰაუ-უუ... ნავი!"

ალბათ, ვინმე ილუპება... ზღვაა კუბო და საფლავი.

და ზღვა ხარობს... ზღვის უფსკრული თავგანწირულ მებრძოლს
ელის.

ვაგრამ აქ თავს ვინ გასწირავს? ან მენავეს ვინ უშველის?

ვინ გაიგებს მომაკვდავის განუსაზღვრელ ბოღმა-ნაღველს?

ვინ რას ეძებს გედის ჰანგებს, სხვა ოცნების გამომსახველს?

სად არიან მეგობრები, ნუთუ ყველა ზღვამ დაჰფარა?

ზღვაზე კაცი ილუპება, შველა უნდა, ნავი, ჩქარა!

მაგრამ კმარა, აღარ ისმის არც ქვითინი, არც გოდება,

დაილუპა! სივრცემ შთანთქა ის ამაო მოწოდება...

ტოკავს ქარი, ნაზ-ნარნარი, და ნამუნარი ტოკავს, ტოკავს,

და ზღვის ტალღა, ტალღა ჩქარი, სალ კლდეს ებრძვის, ღრღნის და

ლოკავს